

ჟიულ-შარლ ტეული, „ფიქრები და კრიტიკული შენიშვნები. ამონარიდები ჩემი მოგზაურობების დღიურიდან კონსტანტინოპოლის სულტნის იმპერიაში კავკასიის რუსულ, ქართულ და თარულ პროვინციებში და სპარსეთის სამეფოში“

Jules Charles Teule. Pensées et notes critiques. Extraites du journal des mes voyages dans l'empire du sultan de Constantinople, dans les provinces russes, géorgiennes et tartares du Caucase et dans le royaume de Perse. Arthus Bertrand, Librairie-Editeur, I-II, Paris, 1841

Chaque dimanche, il se tient dans la matinée, sur la grande place neuve d'Érivan, une sorte de foire très-animée, où les soldats industriels de la garnison vendent des lits, des chaises, et autres meubles d'un travail plus solide qu'élégant. Beaucoup de choses, satisfaisant aux besoins de notre civilisation européenne, ne se trouvent que là: tels sont particulièrement les livres en plusieurs langues, qui gisent en désordre sur la terre nue de cette place, parmi les ferrailles, les assiettes et les vieilles nippes à vendre. (92)

ყოველ კვირას, *ერივის*¹ ახალ დიდ მოედანზე დილაობით მეტად ცოცხალი ბაზრობა იმართება, სადაც გარნიზონის შრომისმოყვარე ჯარისკაცები საწოლებს, სკამებსა და სხვა უფრო მყარ, ვიდრე მოხდენილ, ავეჯს ყიდიან. მხოლოდ აქ ნახავ ბევრ ისეთ რაღაცას, რაც ჩვენი ევროპული ცივილიზაციის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს: განსაკუთრებით აღვნიშნავ წიგნებს რამდენიმე ენაზე, რომლებიც უწესრიგოდ ყრია მიწაზე რკინის ჯართს, თევშებსა და ძველ ტანსაცმელს შორის.

Les filles nobles sont élevées, aux frais de l'empire, dans des établissements particuliers, dont chaque ville considérable de la Russie est dotée. Un Français, devenu Russe, est à la tête de celui qui a été fondé à Tiflis. (98)

კეთილშობილი გოგონები იმპერიის ხარჯზე იღებენ განათლებას იმ საგანგებო სასწავლებლებში, რომლებიც რუსეთის ყველა მნიშვნელოვან ქალაქშია. ტფილისში დაარსებულ სასწავლებელს ერთი გარუსებული ფრანგი ხელმძღვანელობს.

La science et l'art de guérir ne sont représentés en ce moment à Tiflis que par des étrangers de l'Allemagne, qui, depuis longtemps, sont préposés aux magnifiques hôpitaux militaires de cette ville. (111)

ტფილისში მკურნალობის ცოდნა და ხელოვნება მხოლოდ გერმანიიდან ჩამოსული უცხოელების ხელშია, რომლებიც უკვე დიდი ხანია ხელმძღვანელობენ ამ ქალაქის შესანიშნავ სამხედრო ჰოსპიტლებს.

¹ ყველა ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაური „ერივანსკის“ მოედანს „ერივის“ მოედანს უწოდებს. ისინი სახელწოდებას ისე იმეორებდნენ, როგორც ესმოდათ.

La France entretient à Tiflis un consul et un chancelier, protégeant quelques pauvres débris de deux colonies françaises, amenées à grands frais pour exécuter de vastes projets d'industrie, qui ont eu une fin malheureuse. (114).

საფრანგეთს ტფილისში ჰყავს კონსული და კანცლერი, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ფრანგების ორი კოლონიის საცოდავ ნაშთებს, რომელთა ჩამოსაყვანად დიდი ხარჯი იყო გაწეული იმ მსხვილი სამრეწველო პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ასე სამწუხაროდ დასრულდა.

Autour de Tiflis se sont établies, depuis quelques années, des colonies de paisibles cultivateurs venus de l'Allemagne. Il en est une, composée de Wurtembergéois, qui est fixée à un quart d'heure de cette ville, sur la rive gauche du Cyrus, presque en face de la nouvelle Tiflis, et à laquelle s'est associé un brave homme que tout le monde estime, un vieux sapeur de la grande armée de Napoléon. (114).

უკვე რამდენიმე წელია, რაც ტფილისის გარშემო გერმანიიდან ჩამოსული მშვიდობიანი გლეხების კოლონიები შეიქმნა. ერთი მათგანი, რომელიც ვიურტემბერგელებისგან შედგება, ქალაქიდან 15 წუთის სავალზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თითქმის ახალი ტფილისის პირდაპირ, მდებარეობს²; მათთან დასახლდა ნაპოლეონის დიდი არმიის ყოფილი მესანგრე, მამაცი კაცი, რომელსაც ყველა პატივს სცემს.

Cette dernière colonie, composée d'une quarantaine de familles, offre un pareil nombre de petites habitations, en général assez propres, toutes alignées sur les deux bords d'une large esplanade. Chaque habitation a autour d'elle quelques mètres carrés de surface non bâtie, consacrée à la culture des plantes potagères et des fleurs, et ces jardins, d'un aspect agréable, sont séparés entre eux par des haies vives. Au centre du village s'élève un temple protestant; il est petit comme la population qu'il doit enfermer; il est modeste dans sa forme comme la prière qu'on doit y entendre. – Les affaires de la colonie sont réglées par une sorte de conseil de famille, qui traite aussi des intérêts de tous avec le gouverneur de la province. (114).

ამ კოლონიაში ორმოციოდე ოჯახი ცხოვრობს. ფართო ესპლანადის ორივე მხარეს ამდენივე პატარა, საკმაოდ სუფთა სახლია ჩამწკრივებული. ყოველ მათგანს გარშემო რამდენიმე მეტრის თავისუფალი ადგილი აქვს გამოყოფილი ბაღისა და ყვავილებისთვის გასაშენებლად; ეს სასიამოვნო ბაღები ერთმანეთისგან მოწნული ღობითაა გამიჯნული სოფლის ცენტრში პროტესტანტული ეკლესია დგას; ის ისევე პატარაა, როგორც ის მოსახლეობა, რომელსაც იტევს, თავისი ფორმით კი ისევე სადაა, როგორც ლოცვა, რომელსაც იქ მოისმენ. – კოლონიის საქმიანობას არეგულირებს ერთგვარი საოჯახო საბჭო, რომელიც ყველა წევრის ინტერესს პროვინციის გუბერნატორთან ერთად განიხილავს.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)

² იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელობის გერმანული კოლონია ალექსანდერსდორფი.